

ლიცენზირებული საშუალო



საშუალოს მუნიციპალიტეტის ბაზეთი „საშუალოს მოამბის“ დამატება
№11, 27 ნომბერი, ორშაბათი, 2017 წელი

ვაგრძელებთ რუბრიკას „ექსპონატები ლაპარაკობენ“ და გთავაზობთ ინტერვიუს სურამის ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმის დირექტორთან ქ-ნ ლია სადრაძესთან.

– ქ-ნო ლია, იქნებ ცოტა შორიდან დაგვეწყვილო, როდის გაიხსნა ლესია უკრაინკას მუზეუმი სურამში?

– 1952 წლის 3 აგვისტოს, გიორგი ლეონიძის ინიციატივით სურამში ლესია უკრაინკას სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი გაიხსნა და აღიმართა თამარ აბაკელიას მიერ შესრულებული, პოეტის ბრინჯაოს ძეგლი. დაინერა ლესიასადმი საგანგებოდ მიძღვნილი სიმღერა, რომლის მუსიკის ავტორი მერი დავითაშვილი გახლდათ, ლექსის ავტორი კი, სანდრო ეული. აღსანიშნავია ის, რომ შემსრულებელ გუნდს ხელმძღვანელობდა სურამის მკვიდრი, ლოტბარი სოლომონ იაშვილი. არაერთი საინტერესო სტუმარი ესწრებოდა ამ მნიშვნელოვან მოვლენას, რომელთა შორის იყვნენ: დიმიტრი კოსარიკი, რომელმაც აღმოაჩინა დავით გურამიშვილის საფლავი მირგოროდში, 1948 წელს, (რასაც, საგანგებოდ ეძებდნენ, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დიდი ქართველი მწერლები – ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი); გიორგი ლეონიძე, ლევან ასათიანი, ნატა ვაჩნაძე, ირაკლი აბაშიძე, თამარ აბაკელია და სხვები. ამ დროს, თურმე, უკრაინაში, ქ. მირგოროდშიც მოიყარეს თავი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა და პატივი მიაგეს ქართველი პოეტის – დავით გურამიშვილის ხსოვნას.

მანამდე კი, 1951 წელს, ქართულმა საზოგადოებამ ლესია უკრაინკას გარდაცვალების 80 წლისთავი აღნიშნა, მისი სახელი დაერქვა თბილისისა და სურამის ცენტრალურ ქუჩებს.

– ქ-ნო ლია, მოგვიყვით მუზეუმის მუშაობისა და თანამშრომლების შესახებ.

– ლესია უკრაინკას მუზეუმში 6 თანამშრომელი მუშაობს, თითოეულ მათგანს შესაბამისი მოვალეობა აკისრია: ფონდების მცველი, სასკოლო პროგრამების მენეჯერი, ექსკურსიამძღვრელი, 2 ტექნიკური თანამშრომელი – დავით შუბითიძე, ნაზიკო გელაშვილი და დირექტორი.

ქეთინო გრიგალაშვილი ფონდების მცველი გახლავთ. იგი მუზეუმში მუშაობს 1997 წლიდან და ლესია უკრაინკას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო-მასალის დაცვა ევალება, აგრეთვე, იმ ექსპონატების, რომელიც ყოველწლიურად მრავლდება უკრაინიდან ჩამოსული დელეგაციის სტუმრობის შემდეგ. იგი აწარმოებს ექსპონატების პასპორტიზაციას. თითოეულ ექსპონატზე დგება მიღება-ჩაბარების აქტი. ამჟამად მუზეუმში ინახება 642 ექსპონატი, დაცულია დოკუმენტური მასალა, ფერწერა, გრაფიკა, ეთნოგრაფია, ფოტო, ნუმიზმატიკა, სკულპტურა, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. ქეთინო მონაწილეობს საშუალოს საშუალო გავრთიანების საფონდო-შემსყიდველი კომისიის სხდომაში.

მუზეუმში განთავსებულია წიგნადი ფონდი, 15729 ეგზემპლარის რაოდენობით. ლია ბითაძე – სასკოლო პროგრამების მენეჯერი, სწორედ საბიბლიოთეკო მუშაობას აწარმოებს. ასევე, ნაჩუქარი წიგნების კატალოგიზაციას. თანამშრომლობს სურამის საჯარო სკოლებთან, აწვდის საჭირო მასალას პედაგოგებსა და მოსწავლეებს. ორგანიზებას უკეთებს ლია გაკვეთილების ჩატარებას მუზეუმში. ლია 2002 წლიდან მუშაობს ჩვენთან.

წინო სალაღია ექსკურსიამძღვრელი გახლავთ, რომელიც გარდა მუზეუმისა, გიდობას უწევს მოთხოვნის შემთხვევაში, უცხოელ ტურისტებს სურამის ტერიტორიაზე განთავსებულ ადგილებში. ატარებს ექსკურსიას ინდივიდუალურად და ჯგუფებთან. თანამშრომლობს უკრაინელ ჟურნალისტ და მწერალ – ვიქტორ მაზანასთან.

აქვე მინდა აღვნიშნო მუზეუმელების თავდადება და ერთსულოვნება. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა გარემოში უწევთ მათ მუშაობა. 90-იანი წლების მძიმე პირობებში, როცა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა სფერო მოიცვა, მუზეუმს ფუნქციონირება არ შეუწყვეტია. რამდენიმე წლის განმავლობაში, თანამშრომლები შუქისა და გათბობის გარეშე, მიზერულ ხელფასზე მუშაობდნენ. ამ ხნის მანძილზე მუზეუმიდან ერთი ნივთი არ დაკარგულა.

– რას გვეტყვით მუზეუმის დამთავალიერებლებთან დაკავშირებით, არის თუ არა სტუმრების ინტერესი?

– მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო წლებში მკვეთრად იმატა სტუმარ-

ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი

თა რაოდენობამ უკრაინიდან. მჭიდრო კავშირი გვაქვს საქართველოში არსებული უკრაინული კომპანიების ხელმძღვანელობასთან, უკრაინულ დიასპორასთან, საელჩოსთან, ნოვოგრაფ-ვოლინსკის მერიასთან, ნოვო-

გრაფ-ვოლინსკის ლესია უკრაინკას მუზეუმთან, მირგოროდში, დავით გურამიშვილის მუზეუმთან, კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორებთან, რომელთა რეკომენდაციით ჩვენთან ჩამოსული სტუმრები მადლიერები ტოვებენ მუზეუმს. გვინდა, უკრაინამ გაიგოს, თუ რა სავალალო მდგომარეობაშია მუზეუმის შენობა. არიან ისეთი ვიზიტორებიც, რომლებიც ანგარიშის ნომერს ითხოვენ. ასე რომ, უკრაინელი ხალხის და ხელი-სუფლების კეთილ ნებაზე ვართ დამოკიდებული.

რადგან შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, ვერიდებით ღონისძიებების, გამოფენების, ლექცია-სემინარების ჩატარებას მუზეუმში და გვინევს ჩვენი პროექტები სურამის საჯარო სკოლებთან და უკრაინის საელჩოს საინფორმაციო ცენტრთან ერთად განვხორციელოთ.

2014 წლის 25 თებერვალს შედგა მუზეუმის შენობის პროექტის პრეზენტაცია. (არქიტექტორი გიგინეიშვილი.) მშენებლობის ძირითადი ნაწილი უკრაინის ხელისუფლებას უნდა დაეფინანსებინა, მაგრამ ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა შეაჩერეს ეს პროცესი.

2017 წლის თებერვალში, საქართველოში უკრაინის სრულუფლებიანი ელჩის ბ-ნ იგორ დოლგოვის დაინტერესებით განახლდა წინამოსამზადებელი სამუშაოები. ჩატარდა გეოლოგიური კვლევა, მუზეუმი მოინახულეს ძეგლთა დაცვის წარმომადგენლებმა და გაჩნდა იმედი, რომ შენარჩუნდეს ნიკოლოზ აბაზაძის შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსით. მუზეუმს ექნება დატვირთვა, – როგორც ორი ქვეყნის მეგობრობის, ასევე, მოხდება სურამის ისტორიისა და სურამში მოღვაწე ადამიანების პოპულარიზაცია.

2017 წლის 27 ივლისს, უკრაინელი ბიზნესმენების – ალექსანდრე ლავრინიუკისა და სერგეი კანიუკინის დაფინანსებით კიევის ენვია დელეგაცია საქართველოდან: ლესია უკრაინკას საზოგადოების თავმჯდომარე საქართველოში – ბ-ნ ტარიელ გოგოლაძე, საზოგადოების წევრი – ლია ხაჩიძე, სურამის კულტურის სახლის დირექტორი ნონა ფხიკიძე და ლია სადრაძე. ნოვოგრაფ-ვოლინსკში მოვინახულეთ კოსაჩების საგვარეულო მუზეუმი, სადაც ინახება ლესიას პირადი ნივთები. მერიაში გამართულ ოფიციალურ შეხვედრაზე მოხდა დაჯილდოება და საჩუქრების გადაცემა.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა კულტურის სახლში მოწყობილ მუდმივ გამოფენაზე დავათვალიერეთ საქართველოს კუთხე, სადაც სხვა ნივთებთან ერთად, ბ-ნ მურად მთვარელიძის ნივთები და ჩვენგან საჩუქრად გადაცემული ნივთები იყო განთავსებული.

უკრაინა – ეს არის უკიდურესად დიდი, სუფთა, მწვანე, უსაზღვროდ ლამაზი ქვეყანა, მზესუმზირისა და პურის ყანებით, უდიდესი მდინარე დნეპრით. თავისი არაჩვეულებრივი, სტუმართმოყვარე და თბილი ხალხით.

რაოდენ საამაყოა, რომ ლესია უკრაინკა და დავით გურამიშვილი შემაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს ორი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. 1969 წელს, მირგოროდში გურამიშვილის ძეგლის გახსნა ზეიმად იქცა. ორი ძვირფასი პოეტის – დავითისა და ლესიას ისტორიულმა ბედმა სამუდამოდ დააკავშირა ერთმანეთს უკრაინული და ქართული მიწა, სურამი და მირგოროდი.

ისტორიას უყვარს პარალელები. დავით გურამიშვილის მირგოროდში გარდაცვალებიდან ზუსტად 121 წლის შემდეგ, 1921 წლის აგვისტოს, სურამში უკრაინელი პოეტი ლესია უკრაინკა გარდაიცვალა. მძიმე სენით შეპყრობილმა პოეტმა ქალმა სიცოცხლის ბოლო 10 წელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაატარა. საქართველოსა და ქართველი ხალხის სიყვარულმა ათქმევინა: „**მე რომ უკრაინელი არ ვიყო, ქართველობას ვინატრებდი.**“

ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შემდეგ, აღდგა დროებით შეჩერებული „ლესიაობის“ დღესასწაული, გაღრმავდა საელჩოსა და მუზეუმს შორის ურთიერთობებიც.

ესაუბრა ევა ბაქრაძე

ნ ი ე ლ ი

ვაჟას საუფლოში

მანქანა მძიმედ მიიზღოვნებდა ფშავის ხეობაში... წადაცხორებული მთები შემოსხარავდა ირგვლივ არაგვის ჰორს. სუნთქვაშეკრული ფუმილი ზორკავს ყველაფერს... არაგვი, ეს მოსხვედრის ქაფი მდინარეზე წვილობს, არ დაარღვიოს დედაბუნების ჩუმი თიბთიბი, მხოლოდ ზუჭბუჭებს...

„დანახებულმა, არაგვო, რო გნახე, გავიხარეო, სრულიად გამოვირვალე, ნელშიარ ვახარეო...“

გზად კოშკი შემოგვეფეთა – ზვიადი, ამაყად ამართული, ერთგული დარაჯი ფშავის კარისა. დგას იგი ნელგამართული მალალ მთაზედ, დგას და დარაჯობს რას, ვის? – ეს მხოლოდ მან იქნის. ამ საიდუმლოს არავის გაუმხელს.

„სანამა ვროცხლობ, გულში მაქვს, კეთილსა ვცვანდე ზიარად, ვერ მივცემ მტერსა მამულსა საჭიგნად, დასაზიანად! ნუ გეგონებთ, დავლაჩრდი, – ჯერ ისევე ვარ ფხიანად!..“

ჭაერში სუნს დგას, რალარ მსკლარტე, მგვანი ახლადგდებული დათვის ნაწილისა... ხეობამ იქნის ასე, – თავისი ნესტეანი, ნემომპალიანი მკერდიდან აღნილი. ყოველ ნაბიჯზე წყარო გადმოსჩქეფს კლდეთა გულიდან, სასმელად საამო, ყინულის დარი.

აჰა, ჩარგალირ... ქშის და ღრინავს ჩარგალურა, ფუქმორეული, ერთგული ძალივით გეღვენება, თავგანწირული ირავს ადგილის დედას – ვაჟას საუფლოს.

...და ჩნდება სახლიერ, ნამომახული ლამაზ გორაზედ – ნახევრად გომური, ნინ „ვაჟას მსხალი“ და იქავ – „წყარო ვაჟასი“.

სახლთან შემკრთალი ვდგავარ, რალარ დიდებულის მოლოდინში ვდრკენი, ვყოყმანობ.

იღება კარი – დარი სამოთხის, გაუბედავად ვაბიჯებ და... ამ სამყაროს აღარ ვეკუთვნი, თითქოს... უპირველესად, თხემით ტერფამდე ურყოლის მომგვრელ ჰაერს ვგრძნობ... ავერ ზუხაროერ – წაღთვალა რეკლოპი, დაყურსული და დადუმებული, თითქოს მთვლეტარე, გამთბარი ღამის სიზმრებით: ერთ დროს რუხილის კუნძებით გამოტენილი, საამოდ მოლუფლუდე... გაჭვარტოლულ კედლებზე ნითლად მოწახეხე რეხილის ენები გეზმანება, მათგან ავარდნილი ათასი ათინათი, გარდასულ დროთა მოსაგონარი...

და წეკვავენ ლანდები ქაჭური ალტკინებით...

კედელზე – ჩონგური, უამთავან გადალესილი, ომბოკიდებული, მძიმე, ხაოიანი ხელით მრავალგზის ახმანებული, გულზე უყმურმოღებული

გასაქარვებლად...

„დავუკრავ ჭვარტლიან ჩონგურს ათასჯერ, განა – ერთხელა...“

ტახტი თვალის მოსაწყუებლად, რადგანარ ძილი მისი იყო ფხიზელი ჩქამი, თვინიერ ვეფხვისა...

მაგიდა... ოდენ მტვირთველი „მონამის ჯვრისა“, რამეთუ მასზე ინერეზოდა „გველის მჭამელი“, „სტყუარ-მასპინძელი“.

ხურჭინი... ვაჟას ხურჭინი, ერთგული მესაიდუმლოე, დამპურებული მისთა შედეკრთა, ჭიუჭი მექარავნის კვლავ სუნდაკრული ულაცის ოფლით...

კედელზე მიზანში სროლისას მრავალგზის ახმანებული თოფი, ახლა მდუმარი, ვითარა მღვიმე.

იქვე სურათი მეუღლესთან ერთად, ფიგურა არქაული.

შუბლი გენიოსის. თვალები უძირო, ღრმად ჩაჭედილი, მსხვერპლს დარემული არნივის დარი. ყვრიძალი ამოყრილი.

ნიკაპი ოთხხუთხა, მოგვის ჰორტრეტი სრულიად.

ღმერთკარება მისი, უკვე გარწობიერებული, „მაგრამ გაიგებთ ერთხელა, ვინ ახლოს ვდგავართ ღმერთთანა...“

საერთო გამა მინურისა – ტვივლით გათანგული, მსგავსი მშობიარე მდედრის.

ღამე კურუმი, მოზვრისთვალა, გრგვინით და ჭქით დატენილი.

ზვიადი მთები, ალვისილი დევეთით... მრუმე კლდეები, სავსე ჭინკებით... დღამდა... გარეთ ხმაურია, გაურკვეველი ურთასმენის ნამღები, ძლივს გამოარჩევ ქაოსში სიგყვებს.

მთელი ღამე ზორგავს და თუხთუხებს რის ტანი, სადარ თავი მოყურათ ვაჟას გმირებს: მინდას, ალუდას, გოგოთურს, ჭოყოლას... ყველა ერთიან გმინავს და კვენის, გულდათუთქულინი მოთქვამენ ზარს, დაჭირიან სამშობლოს.

...ამ საერთო გნისში ვარჩევ ერთს, დევის ტანად მდგარს... ლუხუშად ვრანი ჭანსალი, ახოვანი, შემართული ლამარის გორზედ შესადგომად...

მძიმედ თენდება... მოჩვენებანი ქრებიან ოხვრით.

კარს გამოსული იქავ ვჭაღები, – დევის ნამუხლოზე, გონს მოსვლას ვრდილობ, დილის სიო ნაზად მიგრძილებს დარვარულ შუბლს, უყმურს მიქარვებს.

იქვე თანამედროვე სახლი დგას – ჩარგლის ზუნების შეუსაბამო, ვითარა ხოხობისთვის – ვალია. გულქანი წევს იქ, უკანასკნელი გენი ვაჟასი. ვაგლახ, ვითომ ნაპატრონები...

...გზრუნდებით შარში, დატვირთული ურხო რამ ტვირთით.

უკან რჩება დაწლილი ჩარგალი... აუჭანელი სიჩუმე... ჩარგელი ზიჯი ანდრეზა – ქორის თვალებით... გაუსაძლისი სურვილი მოზრუნების...

ნინ კი... კვლავ კოშკი – ერთგული დარაჯი ფშავის კარისა და მის ქონგურებიდან გადმოვარდნილი ხმა სიმართლისა:

„ხმალი ალესე, ძმობილო, მტერი გადმოდგა მთაზედა, აგვიოხრებენ ქვეყანას, დავგეყრებიან თავზედა!..“

ალეკო ლონდაძე



ერთი ლექსის გამო



„მიფი, გარეკე...“ – მურად მთვარელიძე („ლიტერატურული ხაზური“, 31. 07. 2017 წ.)

კითხულობ ლექსს და უდიდეს სიამოვნებას განიჭებს, თანდათანობით, მომხიბვლელი ძალით თავის ორბიტაში გაქრევს, სურვილი გიჩნდება, ისევე გადაავლო თვალი. კიდევ ერთხელ რწმუნდები ილიას სიგყვების ჭეშმარიტებაში:

„ღმერთი რომ ერს, ქვეყანას მონყალოების თვლით გადმოხედავს, – მოუვლინს ხოლმე კარს, ჰოეზის მადლით რხებულს“.

საოწარი ლირიკული თრთოლვა იგრძნობა ლექსში:

„აი, მოვდივარ, წყეული რა სულში მიძვრება, სულში ზობოქრობს, სულში ავობს, სულში მყეფარობს...“

როგორი მეტაფორები, როგორი შედარებები:

„და მთვარე, ახლა, ძველებურად ფეხშიშველია...“

„მიფი, გარეკე, თორემ ჩემს ქოხს ფრთები დაატყდა...“

„და ქარი, შლეგი, ტანზე ლექსის ზღაპარს მარბევდა...“

ან კიდევ ეს:

„ვირი, ღამდება, ვირი, სადღარ რევა იანვარს და მზის გარეშე დარჩენილი ჩერო სლოკუნებს“ – დიდებულად ნათქვამია!..

ლექსში შესანიშნავად არის გადმოხედილი ჰოეცის სულის შემფოთება, ასაკის მატებასთან ერთად:

„ღღეს აღარ რა მსურს, აღარ მინა, აღარ მზეს ველოცი...“

ღღეს წყთისოფლის ხიდზე მდგარი, უხმოდ ვზარზარებ.“

ეს არის სულის უმძაფრესი შინაგანი მოძრაობის ჰოეცური გამოსატყულება. მისი ლირიკული გმირის გულისყური მიმართულია შიგნით, საკუთარი სუბიექტური სამყაროსადმი:

„ღღეს, ზამთრისპირის მინანქარში ნაზად ვინვენი, მხრებზე გადმოდის ამ რხოვრების მღვრიე მირონი“. – თითქოს „სული ზოროტო“-ს ეხმანება. სიმბოლოებით ატვირთული, თითქოს მწყობრის სულია. მურად მთვარელიძის მთელი შინაგანი პოეტური განსაკუთრებული ექსპრესიით არის გადმოხედილი და თვითგამოხატვის უზრუნველგაღესი ნიშნა.

„ნუ მეკითხები, რად ვაგვეხსნა გულის იარა, ამ წყთისოფლის ზნელ კოფოზე შემოსკუპულემს.“

„ნუ მეკითხები... პასუხია თავად ის წლები, – თვალდახელმუა რომ გაფრინდნენ, უაღვირონი.“

სიბერის სევედას თან ახლავს ოპტიმიზმი, რომელიც მის დაუმარცხებელ განწყობილებას ასახავს:

„მოგკვდებით, მაგრამ არასოდეს ნამოვიჩოქებთ!“ – ამთავრებს ჰოეცი.

ჰოეცური სასწაულომოქმედება ფარული კავშირით აერთებს რალკულ სურათებს.

ეს არის მშვენიერი გამოვლინება ჰოეცის ნიჭისა, რომელსაც გარდაუვალი მხატვრული ძალა გააჩნია.

ამ ლექსის კარგად გააზრების შემდეგ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ჰოეცის სიგყვების სიმართლეში:

„ჰოეცი საკუთარი ხელოვნების კი არა, ზემთაგონებისა და ღვთიური სიმშავის წყალობით თხზავენ თავიანთ მშვენიერ ლექსებს... ჰოეცი მსუბუქი, ფრთაშესხმული და წმინდა არსია.“

და ზოლოს: სამწყობროდ, **ზატონო მურად, „მესამე გზა“ არ არსებობს. თუმცა, ამ გზის ძიება და რეკვიემის განწყობილება ნაადრევად მიმჩნია თქვენთვის.**

კლიმენტი სუთიაშვილი, ქვიშხეთი



ფოფია ცუხუციანი

პოეზია

ჩემი საქართველო

სევდა იყო ვერცხლისფერი,
 ლივლივებდა მტკვარზე, აგერ,
 მთები კავკასიონისა
 ხელის გულზე დავილაგე.
 ფეხით მებო თრიალეთი,
 ქართლის ვაკე სუფრას ჰგავდა,
 ზებერ წიხის ქონგურებთან
 მომავალი წარსულს რწყავდა...
 ბაღში სტვენდნენ ბუბულები,
 რაში ორბი დაფრინავდა,
 მოქნეული, მოლივლივი
 მტკვარი შიშველ მახვილს ჰგავდა.
 ეს სამშობლო არის ჩემი...
 და ეს მთები ზუმბერაზი,
 მუშლი მუხას ვერ ნააქრევს,
 არ გახმება ჩვენში ვაზი!..

* * *

სკივრს თავს ავხდი, გადავხედავ წარსულს,
 ამოვანებ ჭრელაჭრულა ამბებს,
 ზოგს ტკივილი მოაქვს უსამველო,
 ზოგი კიდევ, მზის სხივებით მავსებს...

* * *

გარდაცვლილ დღეებს
 მივგორებ დაღლილ თითებით,
 ვერ ავაშენე სრა-სასახლე, ისევ განვიმდა...
 მტკივა წარსული, –
 მოკვეთილი ემბრიონით,
 გზავსაყართან ჩავიშხლე,
 ბევრჯერ დაღლილი...
 ტკივილებს ისე ვავროვებდი,
 როგორც ზღვის პირზე
 ფერად ნიჟარებს... მიზრალენდნენ ლილილოები,
 სიყვარულს ვთესდი,
 ვლენდი კალოს ერთგულებსას,
 შემოხიზნული წუთისოფელს
 სტუმრად, დროებით...
 გარდაცვლილ დღეებს
 მივარდებ დაღლილი გულით,
 ვშორდები წარსულს,
 სინანულით ვემშვიდობები...

ტკივილი

მოვარდნილი, როგორც შლეგი გრიგალი,
 სულის ამომღვრევს ქვეყნის უკულმართობა,
 გულის არ მიკლავს არავისი სიკეთე,
 აღმასვლა და უფლის დიდი წყალობა.
 გული მტკივა... ოი, როგორ განვირდი,
 როს ჩვენს გვერდით ისევ ვხედავ იუდას,
 ქრისტე ისევ ჭვარზე არის გაკრული,
 სატანას კი, სახე ზეკარს მიუგავს...

წუთისოფელი

ერთხელ ხომ მაინც უნდა გაგიუფდ
 და დავინყებას მისრე ყოველი, –
 წარმავალია, წარმავალია,
 წარმავალია წუთისოფელი!..
 ერთხელ ხომ მაინც უნდა იღობინო,
 ერთხელ რომ მაინც დაჰკრა ნაღარას,
 წლებს ულაყვიით აუნყვეტია
 და მეც, პატარა უკვე აღარ ვარ!
 აღმართი ოხვრა-ხვნიებით ავლიე,
 აღბათ, დაღმართი იქნება მშვიდი.
 წლებს, გოლოგოთასკენ ძნელად ასავალს,
 როგორც ხმელ ფოთოლს, თითებში ვფხვნიდი.
 ერთხელ ხომ მაინც უნდა გაგიუფდ,
 სანამ რხოვრება თავის გზით მიდის...

დამიძახე

დამიძახე, ისევ ისე მოვალ,
 ნატყვიარ მკერდს გავაფიქრებ ქარზე...
 ეს ლაღატი უფსკრულივით განვა
 და მომაკვდავ ხობობს დავემსგავსე.
 ჩაიარა ზევრმა დღემ და ლამემ,
 მთვარე კვლავარ გადმომხედავს სევდით
 აამღერე ჩემი ნაზი გრძნობა
 გამიახლე სიმღერა და ლექსი...
 ქარმა ღრუბელს შეახია კალთა,
 ჩემს ტკივილებს თითის ტარზე ვახვევ,
 დამიძახე, ოღონდ დამიძახე, –
 სინანულს რომ ავარიდო სახე...

სიცოცხლე ზეიმობს

რხოვრება ხე არის,
 ფოთლით შემოსილი,
 ქარი დაუბერავს, –
 გაძარცვავს...
 მოვა გაზაფხული,
 ისევ აყვავდება,
 სიყვარული ზეიმობს მარადყვამს.

რეცენზია



გოლუჩიძე ჯობაძე

„martivi ricxvebis
martooba“

პაოლო ჯორდანო ახალი მწერალი გახლავთ, ახალი სიტყვებით. „მარტივი რიქვების მარტობა“ მისი პირველი რომანი გახლავთ, რომელმაც დიდი წარმატება მოუტანა. 2010 წელს, ამ რომანმა „სტრევა“-ს პრემია მიიღო, რომლის მფლობელებიც არიან, ასევე, უმბერტო ეკო და ალბერტო მორავია. ამ პრემიის მათთან ერთად მიღებით, ჯორდანო უკვე სხვა ასპარეზზე გადის

და მისი რომანიც უფრო დასაფასებელი ხდება მათთვის, ვისაც ჯერ არ ნაყიბხავს იგი.

... და ლიტერატურა მისი მთავარი საქმე სულაჯ არ არის...

პაოლო ჯორდანომ დაამთავრა ტურინის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და დაიწვა ლოქორის ხარისხი ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის სფეროში. მისი პროფესიული ამბების შესახებ არ ვიცი, მაგრამ ამჟამად არის, რომ ლიტერატურაშიც თავისი სათქმელი თქვა.

ყველა წიგნი ერთმანეთისაგან რაღაც განსხვავდება, მაგრამ აქ განსაკუთრებულად განსხვავებული სტილი ვიგრძენი. სიუჟეტი, თითქოს პრიმიტიულია, მაგრამ აქვს რაღაც დამახასიათებელი ტექნიკური აურა, რომანტიკაში არის არეული და ყოფითი ელემენტებით გამოხატული. ჯორდანო წერს ისეთ საკითხებზე, რაც კარგად იყის, აღწერს კარიერისტი ფიზიკოსის წხოვრებას ზავშვობიდან ზრდასრულობამდე და კიდევ სხვა რაღაცეებზე, თუმცა, აღბათ, სწორედ ამ პერსონაჟის დახატვისას არის გამოყენებული ყველაზე მეტი წხოვრებისეული გამოყენებებიდან აღებული ფერი. აქ მთავარი არის რიქვები, კონკრეტულად, – მარტივი რიქვები, რომელთა ერთ-ერთი საინტერესო დამახასიათებელი თვისება ორიგინალურად არის გამოყენებული წიგნში და მოხერხებულად მორგებული მთავარ პერსონაჟებზე. ორი მარტივი რიქვი – ორი მთავარი პერსონაჟი, რომელთა წხოვრების აღწერა ზავშვობიდან იწყება. დასაწყისში სულაჯ არ იგრძნობა რომანტიკული აურა.

ავტორი იწყებს ორი ზავშვის წხოვრებით, რომლებსაც თითქოს, არანაირი კავშირი არ აქვს ერთმანეთთან. პირველი პერსონაჟი – ალიჩე დელა როკა სრიალისას ტრავმას მიიღებს, რაც ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ნაირეფს დაუტოვებს მას და სამუდამოდ დააკოჭლებს. მეორე პერსონაჟი – მატია ზალოსინი, მომავალი კარიერისტი ფიზიკოსი, ასევე ფსიქოლოგიურ ტრავმას მიიღებს, როცა საკუთარი ავადმყოფი დის უყურადღებოდ დატოვება მის სამუდამოდ გაუჩინარებას გამოიწვევს. სწორედ ეს ტრავმები აერთიანებს ალიჩეს და მაციას. შემდეგ, ისინი ერთ სკოლაში მოხვდებიან და კონტრასტულად განსხვავდებიან სკოლის საზოგადოებისაგან: მატია – სწავლაზე ორიენტირებული, უწყნარო „შკოლნიკი“, რომელიც მხოლოდ იმიტომ არის ასეთი, რომ სწავლა ყველაზე კარგად გამოსდის; ალიჩე, პირველი რიგში, ფიზიკური ტრავმის გამო, სიარულის მანერით განსხვავდება სხვებისგან, ასევე, კომუნიკაბელური ხასიათით და იმიტომ, მანერ-დამანერ, არაკონტაქტურმა და თავისებურმა მაციამ რომ მოახდინა მასზე შთაბეჭდილება.

წიგნი ფრაგმენტულია და მასში არ არის დეტალურად გამოხატული ალიჩეს და მაციას ურთიერთობის განვითარება, თუმცა, ესეც თავისებურ ხიზლს მატებს წიგნს. მაგრამ თითოეული ფრაგმენტი საორრად ნათელია და იმდენად მნიშვნელოვანი, რომ საერთო სურათის აღდგენას მკითხველი კარგად მოახერხებს.

მთავრდება ზავშვობა, ალიჩეს და მაციას ერთმანეთი უყვართ, ამ დროს შემოდის სიუჟეტში ორი მარტივი რიქვი და, ზოგადად, მარტივ რიქვთა დამახასიათებელი საინტერესო თვისება (მარტივი რიქვი ისეთი მთელი რიქვია, რომელიც უნაშთოდ მხოლოდ საკუთარ თავზე და ერთზე იყოფა). იმ შემთხვევაში, თუ დავინებთ ნატურალური რიქვების შემონებნას,

სიდიდის ზრდასთან ერთად, მარტივი რიქვები უკვე ძალიან იშვიათად შეგვხვდება: შეიძლება, შევამონმოთ ათასობით, მილიონობით, მილიარდობით რიქვი და მარტივი რიქვი არ შეგვხვდეს, მაგრამ თუ შეგვხვდა, აურულვლად იქნება მის გვერდით (რიქვთა ღერძზე) კიდევ ერთი მარტივი რიქვი (ორით მეტი ან ნაკლები). მატია სწორედ ამ თავისებურებაზე ფიქრობს და, უზრალოდ, დაწერს ორ რიქვს – 2760889966649-ს, რომელიც მას აღნიშნავს და 2760889966651-ს – ალიჩეს... ეს რიქვები განმარტოებულად ერთად არიან... ამიტომაც ზავშვობა მათ.

...პატარა პროგრამით მინდოდა, ეს რიქვები შემემონებინა. თავიდან, არც ისე დიდ რიქვებზე მომეჩვენა და ამიტომ, ჩემი პროგრამა მარტივად წდილობდა ამ სიმარტივის დადგენას: ამონებდა თითოეულ რიქვს 2760889966649/2-მდე, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, კომპიუტერსაც იმდენი დრო დასჭირდა ამ პრინციპით შესამონებლად, რომ ლოდინი მომზებოდა, გამოვრთე და პროგრამა გადავკეტე წნობილი თეორიის მიხედვით მარტივ რიქვთა თეორიიდან, რომელიც გულისხმობს, რომ თუ ნატურალური რიქვი არ იყოფა უნაშთოდ მის კვადრატულ ფესვზე ნაკლებ, არწრთ ნატურალურ რიქვზე (რა თქმა უნდა, ერთის გარდა), მაშინ იგი მარტივია. აი, ამ პრინციპით, უკვე ძალზე დავრწმუნდი, რომ ორივე რიქვი მარტივია, მაციასიც და ალიჩესიც...

შემდეგ არჩევანის დრო დება მაციასთვის: ალიჩე, ან კარიერული ზრდა ფიზიკაში, გერმანიის ერთ-ერთ გამორჩეულ უნივერსიტეტში... იგი აირჩევს და წხოვრებას განაგრძობს... არჩევანის წინაშე დგას ალიჩეც, ოღონდ უფრო პრიმიტიული ვარიანტებით.

ამ წიგნში კიდევ უამრავ ემოციას შეხვდებით, ადამიანის განვითარების ეჭაპებს, სხვადასხვანაირი ტიპის სიყვარულებს, სინანულს, მარტობის განრდას, გულახდილობას, სიხლის მოლოდინს, წრემლს და უამრავ წხოვრებისეულ შეგრძნებას. ამ ყველაფრიდან ჩანს, რომ წიგნი ტექნიკურად მოაზროვნე, საკუთარი საქმის მოყვარული ადამიანის დაწერილია. იგი, თითქოს წდილობს, მათემატიკა როგორმე ხელოვნებასთან, ლიტერატურასთან დაამონილოს და, შემდეგ სხვებზე გაუზიაროს ამ უწყნარი ტანდემის შედეგი. ამაზე მიუთითებს, გარკვეული თვალსაზრისით, მარტივ რიქვებზე ორიენტირებული სიუჟეტი, ასევე, ზოგადად აღწერილი მატია ზალოსინის სადიპლომო ნაშრომი რიმანის ზეცა ფუნქციის შესახებ, თანმხლები ემოციებით, სამუშაო პათოსით და უსაზღვრო ნებისყოფით. აქ მათემატიკა უფრო ძალაღონეზე დგას და რაღაც განებივრებულია... მათემატიკური თემები ზუნდოვნად, ფაქიზად და აღმატებულადარ კი არის აღწერილი, და ეს, სულაჯ არ იწვევს მხატვრულ ლიტერატურასთან შეუფერებლობის გრძნობას.

...აქ მათემატიკა და ლიტერატურა მეგობრობენ... პაოლო ჯორდანომ ჩანაფიქრი შეასრულა!..

...მოგვიანებით გავიგე, რომანის მიხედვით ფილმიც გადაუღიათ. ჯორდანომ ერთი საფეხურიც კიდევ უფრო ძალა აინაწვლა ლიტერატურული პოპულარობის კიბეზე. აღბათ, სტიმულიც მიიღო და, თან, დიდი... ზევი ვეძებ ეს ფილმი და ზოლოს, რუსული ტიტრებით მივაკვლიე. დავინახე განსაკუთრებული მონდომებით ყურება, მაგრამ მანერ, რაღაც დანაკლისის გრძნობა დამრჩა. ზოგადად, წნობილია, რომ წიგნი უფრო ემოციურად ნოყიერია, ვიდრე ფილმი და არც ეს შემთხვევა ყოფილა გამონაკლისი. ფილმის სწენარი, ისედაც ფრაგმენტებზე დაწერილი ფილმის სიუჟეტს, კიდევ უფრო ანანევრებდა. იყო მომენტები, რომლებიც ძალიან მომეწონა წიგნიდან, მინდოდა მისი ვიზუალიზაციის ნახვა და, თითქმის, დარწმუნებული ვიყავი, რეჟისორს სავერიო კოსტანტინოსარ მოენონებოდა ეს მომენტები და ფილმში გააროხლებოდა, მაგრამ შევერდი. ასევე, ფილმში არ (ან ვერ) ფიგურირებდა მარტივი რიქვები და ამ ფაქტმა, თითქოს, საძირკველი გამოაწვლა რეჟისორის ჩანაფიქრს... ამ მხრივ, ფილმი საკმაოდ მწირი გამოდგა. თუმცა, ძალიან მომეწონა მსახიობები, რომლებიც კარგად მოერგნენ ჩემს წარმოდგენაში შექმნილ პერსონაჟებს... იყო თითქოს, უხარისხო, მაგრამ ნამდვილად, თემაზე ემოციურად მორგებული „საუნდტრეკები“.

კარგი იქნება, თუ ეს წიგნი ითარგმნება... ვფიქრობ, ქართული თარგმანი მოუხდება! თან სათაურიც შეგნებულად გართმულივით უღერს – „მარტივი რიქვების მარტობა!“